საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

განკარგულება №85/2024

თვითმმართველი თემების - სამტრედიის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების საკრებულოების 2024 წლის 26 ოქტომბრის შუალედური არჩევნების საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის დადგენის თაობაზე

ქ. თბილისი 2024 წლის 27 აგვისტო

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 154-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. დადგინდეს თვითმმართველი თემების - სამტრედიის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების საკრებულოების 2024 წლის 26 ოქტომბრის შუალედური არჩევნების საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკი დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე **გიორგი კალანდარიშვილი**

კომისიის მდივანი **გიორგი ჯავახიშვილი**